



ქურნალის სარედაქციო კოლეგია უერთდება ავტორთა კოლექტივს და დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით იხსენებს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ვასილ ჩანტლაძეს

ფინანსური მესწიერების მამამთავარი – ვასილ ჩანტლაძე

(ემღვნება ბატონი ვასილ ჩანტლაძის დაბადების 110-ე წლისთავს)

არიან ადამიანები, რომლებიც დროსთან მიმართებით წარმატებულად მოღვაწეობენ, დროის ღირსეული შვილების მძიმე ტვირთს კაცურად და ქვეყნის საკეთილდღეოდ ამაყად ეწევიან. ამის გამო ისტორიულ მესწიერებაში მათ ჯეროვანი ადგილი უკავიათ. მაგრამ არიან გამორჩეულებიც, რომლებიც წარსულის, აწმყოსა და მომავლის შემაერთებელი ხიდის ფუნქციას ღირსეულად ასრულებენ და თანაბრად მიეკუთვნებიან თითოეულ მათგანს. ისინი ერთეულები არიან. მათ ხალხი სხვადასხვა კპითეცებით ამკობს.

ვასილ ჩანტლაძე იმ რჩეულთა შორის ერთ-ერთი უპირველესია, ვისაც სამივე დროში თანაბარი ზომით აღიარება არგუნა ცხოვრებამ. ამიტომ ძნელია ვასილ ჩანტლაძის პიროვნების, მოღვაწის, მეცნიერის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვას, თუნდაც მისმა უერთგულესმა მოწაფემ, მისი ნიჭის თაყვანისმცემელმა საერთოდ. ვფიქრობ, ვასილ ჩანტლაძის ფენომენის შესწავლისას სამი პირობა მაინც უნდა დავიცვათ: პირველი - ობიექტურად შევაფასოთ მისი განვლილი გზა, მოქალაქეობრივი და მეცნიერული პოზიციები; მეორე – მისი მრავალმხრივობით გამორჩეული მეცნიერული შემოქმედება შეფასდეს დროსთან



მიმართებით; მესამე – მომავლის გადასახედიდან ობიექტურად განისაზღვროს მისი მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი თავის დროს ეკუთვნის, და მომავალშიც მყარად აქვს ფესვები გადგმული.

ვასილ ჩანტლაძის ცხოვრებისეული გამოცდილების პირველი მიახლოებით გაცნობამ ერთხელ კიდევ განმამტკიცა ის საყოველთაო აზრი, რომ ცხოვრების რთული გზა სახელგანთავსებლად განვლო. ყოველ ნაბიჯზე, საფეხურზე, აღმართსა თუ დაღმართზე, ყველგან შეინარჩუნა და განამტკიცა პიროვნული ღირსებები, ცხოვრებისეულ ყველა კითხვას დამაჯერებელი პასუხი გასცა.

სეულ ყველა კითხვას დამაჯერებელი პასუხი გასცა.

ვასილ ჩანტლაძე ყველა სიტუაციაში მაღალი ღირსებების მამულიშვილად დარჩა, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ ეს გააკეთონ!

ვასილ ჩანტლაძე – მეცნიერი – რთული თემაა. მაგრამ ის კი ვიცით, რომ იგი, ფრიად ერთგული კაცი, მეცნიერებაში მარტო განგებისაგან მომადლებული ნიჭით როდი ბრწყინავდა, ცნობილი სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოდნის ჩარხზე გაღვსილი ჭკუით ქმნიდა და ძერწავდა საკუთარ შეხედულებებს, მოქალაქეობრივ და



მეცნიერულ პრობლემებს. იგი მეცნიერი იყო ბუნებით. მის აზროვნებას შეეძლო ისტორიული განვითარების წიაღიდან ამოეტანა ეროვნული ღირსების მარგალიტები და საზოგადოებისათვის შეეთავაზებინა, როგორც წინსვლის შთამავლებელი მუხტი, განვითარების ლოგიკის შემადგენელი. ამ აზრის სისწორის დადასტურებაა, თუნდაც შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებების ჩანტლაძისეული ინტერპრეტაცია. ჩინურ ენაზე ვასილ ჩანტლაძის შემოქმედების ამტკიცებლობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა საერთო აზრი იმის შესახებ, რომ ყველაზე დიდი მეცნიერებაა ის, რომ სახელი გაუთქვა საკუთარ მამულს. ვასილ ჩანტლაძე – მეცნიერი – ეროვნული სიამაყეა. ერთეულთა ხვედრია ასეთი აღიარება!

დაბოლოს, დღევანდელი და მომავლის გადასახედიდან ვინ არის ვასილ ჩანტლაძე? იგი ისეთად დარჩა, როგორც რეალურად იყო: მართალი, პრინციპული, კეთილშობილი, განსწავლული, ბრძენი, მომხიბვლელი, ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან წილნაყარი, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ღირსეული წარმომადგენელი და ქომაგი.

ვასილ ჩანტლაძემ დროის გამოწვევა მიიღო, გაიმარჯვა და ამით მისი შემოქმედება, როგორც საზოგადოების საიმედო ორიენტირი, ყველა დროში განთავსდა, სწორედესაა მისი მეცნიერული მემკვიდრეობის ეროვნული მნიშვნელობა.

მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდი – ძალიან მოკლედ, ამ სამი უაღრესად ტევადი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს ვასილ ჩანტლაძე, ჩინებული მასწავლებელი და აღმზრდელი, შესანიშნავი მეგობარი და სამაგალითო მამულიშვილი. რაინდობა კი მეცნიერებაში თავისთავად გულისხმობს მძლავრ ინტელექტუალურ სიღრმესა და სიმაღლესთან ერთად უზარმაზარ, ამოუწურავ სულიერ და ზნეობრივ ენერჯიას, რომელიც სათავეს იღებს, პირად პასუხისმგებლობაში გადასული საქმისადმი, პროფესიონალური მოღვაწეობისადმი უსაზღვრო ერთგულების და თავდადების საერთო წიაღიდან.

ბუნებას ვ. ჩანტლაძისთვის არაფერი დაუშურებია, არც ფენომენური ნიჭი და უნარი, არც სულიერი და ზნეობრივი სიმაღლე და სიფაქიზე, არც დაუშრეტელი სასიცოცხლო ენერჯია, არც საარაკო და გაუტყეხელი ვაჟკაცური შემართება და ახლის ძიების დაუცხრომელი წყურვილი. ამით აიხსნება ის მართლაც, იშვიათი, გასაოცარი მდგომარეობა, რომ ბატონი ვასილ ერთადერთი ქართველი ეკონომისტი, რომელიც უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერულ-პედა-

გოგიური ცხოვრებით სუნთქავდა 70 წლის განმავლობაში და 90 წლის ასაკშიც ჭაბუკური აღტყინებითა და გატაცებით ეწეოდა აქტიური სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის მძიმე და საპატიო ჭაპანს. ასეთი ცხოვრება არის შეუვალი და უკომპრომისო ბრძოლა ამაღლებული მიზნის მისაღწევად, ჭეშმარიტების დასადგენად, გაუტყეხელი ყამირის გასატყეხად და ნამდვილად ბედნიერია ვასილ ჩანტლაძე, როგორც მეცნიერი და პედაგოგი, რომელმაც არსებობის ყოველი წუთი ასეთ ბრძოლაში მოპოვებული, ბრწყინვალე გამარჯვებებით დააგვირგვინა. ბედნიერები არიან მისი ახლობლები, მოწაფეები, მეგობრები და კოლეგები, რამეთუ კარგად ვიცით, ვისთვის უნდა მიგვებაძა, რა გზით უნდა გვევლო, ვინ მიგვეჩნია ჩვენი ცხოვრების და შემოქმედებითი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ნიმუშად.

ბატონი ვასილი განგებამ სხვებისგან განსხვავებული განსაკუთრებული ადამიანური შესაძლებლობებით დააჯილდოვა, ალბათ, საესეებით განსაკუთრებული ამოცანების გადასაწყვეტად. ეს შესაძლებლობები კი სინამდვილედ აქცია მისმა გასაოცარმა, გამორჩეულმა შრომისმოყვარეობამ, ნებისყოფის და ხასიათის სიმტკიცემ და შეუვალმა პრინციპულობამ. მან თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით ცხადად გვიჩვენა, რომ ნებისმიერი მეცნიერისადმი ფართო საზოგადოების პატივისცემას და სიყვარულს, აღიარებასა და მოკრძალებას მთლიანად განაპირობებს მკვლევარში დიდი მეცნიერული ცოდნის და მაღალი ადამიანური უნარ-ჩვევების პარმონიული შეერთება, როგორც დიდი ილია ბრძანებს: „გაწვრთნილი ზნე – ხასიათისა და განვითარებული გონების შეუღლება“. ამიტომაც ბატონი ვასილი ნამდვილი მასწავლებელი, ბრძენი მოძღვარი, ადამიანის სულიერ სამყაროში ღრმად ჩახედული კაცი იყო, რომელსაც საოცრად ემარჯვებოდა შეუცდომლად განესაზღვრა თავისი მოსწავლეების შესაძლებლობები, მათი მისწრაფებები და მიდრეკილებები და მიეცა მათთვის განვითარების და განმტკიცების ფართო ასპარეზი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხომ ქართველ ეკონომისტ-მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა, რომელმაც მნიშვნელოვანი მიღწევებით საყოველთაო პატივი და აღიარება მოიპოვა. ბატონი ვასილის ხელმძღვანელობით დაცული მრავალრიცხოვანი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია ამისი უტყუარი საბუთია. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბატონი ვასილი აღმოჩნდა თავისი დიდი მასწავლებლის, ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული ეკონომიკური ცოდნის



ერთ-ერთი ფუძემდებლის – ფილიპე გოგინაიშვილის – ღირსეული მოწაფე, სახელოვანი მიმდევარი და მისი ტრადიციების თანმიმდევრული გამგრძელებელია განმავითარებელი.

მკვლევარ-მეცნიერთა მთელი თაობისთვის ბატონ ვასილზე მთელი სისრულით შეიძლება გავიმეოროთ ის სიტყვები, რომლებთაც ცნობილმა გერმანელმა მეცნიერებმა ფილიპე გოგინაიშვილს უნივერსიტეტის დამთავრება მიულოცეს და სამშობლოსაკენ გზა დაულოცეს: „**ბედნიერია ის ერი და ქვეყანა, რომელსაც შენისთანა შეილები ემსახურებიანო**“.

ვ. ჩანტლაძის ეს დამსახურებული აღიარება, საყოველთაო მოკრძალებული პატივისცემა, მის მიერ განვლილი გზა სამაგალითო ცხოვრების და შემოქმედებითი მოღვაწეობის ლოგიკური შედეგია.

ვასილ ჩანტლაძე დაიბადა 1905 წლის 8 იანვარს ქ. ზესტაფონში. საშუალო განათლება საქვეყნოდ ცნობილ თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში მიიღო, სასწავლებელში, სადაც აღიზარდა ქართველი ხალხის სახელოვან შეილთა მთელი პლეადა. გიმნაზიის დამთავრებისთანავე, 1923 წელს, იგი ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. სწორედ აქ, ეროვნული კადრების დიდ სამჭედლოში, გამოამყვანა ბატონმა ვასილმა განსაკუთრებული ინტერესი, ადლო და ნიჭი მეცნიერული კვლევისადმი. მალე თავისი მასწავლებლის, ფილიპე გოგინაიშვილის ყურადღებაც მიიპყრო და მისი წინადადებით, 1927 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, დატოვებულ იქნა იქვე, როგორც მომავლის მქონე პერსპექტიული ახალგაზრდა. დიდი მეცნიერისა და პატრიოტის ეს იმედი მალე გამართლდა. სულ რაღაც სამ წელიწადში ბატონი ვასილი აქვეყნებს რამდენიმე ნაშრომს. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის საკვალიფიკაციო კომისიის 1932 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას და შესანიშნავ მკვლევარს, დოცენტის წოდება მიენიჭა, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1941 წელს დისერტაციის („გადასახადები და სიღარიბე, ჰენრი ჯორჯი და მისი თანამოაზრენი“) დაცვის საფუძველზე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ეკონომიკის და იურიდიული ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1954 წელს ვ. ჩანტლაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წ.წ.)“ და მიენიჭა

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1959 წელს მიანიჭა პროფესორის წოდება.

პროფ. ვ. ჩანტლაძე 1967 წელს ფინანსების და კრედიტის კათედრის გამგედ აირჩიეს და ამ თანამდებობაზე იმუშავა 21 წლის განმავლობაში. 1974 წელს მას ირჩვევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს – აკადემიკოსად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით 1944 წელს ჩამოყალიბდა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელშიც მისი დაარსებიდან 1980 წლამდე ვასილ ჩანტლაძე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თეორიული და დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის აქტუალური პრობლემების დამუშავებაში.

პირველი ნაშრომი, რომელიც ვასილ ჩანტლაძემ 1930 წელს გამოაქვეყნა, იყო „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფინანსური მოძღვრება“. ახალგაზრდა მკვლევრის ეს ნაშრომი არ არის ჩვეულებრივი, იმ დროისთვის ხარკის მოხდის მიზნით თითქმის სავალდებულო, ტრაფარეტული ფორმალური განხილვა მარქსისა და ენგელსის ფინანსური შეხედულებებისა. იგი, მართლაც რომ, საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომით, პრობლემების ყოველმხრივი ანალიზის ერთ-ერთი სამაგალითო ნიმუშია, რომლის შედეგად ჩამოყალიბებულ დასკვნებს დებულებებს ძალა და სიცოცხლისუნარიანობა დღესაც შენარჩუნებული აქვს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბატონი ვასილის ყველა ნაშრომი, რომლებიც შექმნილია საბჭოთა ეპოქაში, ისეა გაჯერებული დრმა მეცნიერული არგუმენტებით, რომ იდეოლოგიური ზეგავლენა მათზე არსებით კვალს ვეღარ ტოვებს და თითოეული მათგანის თეორიული და პრაქტიკული ფასეულობის მაღალი დონე ყველა დროისათვის გარანტირებულია. ზემოთ აღნიშნულ პირველ ნაშრომში ვასილ ჩანტლაძე იძლევა ბურჟუაზიულ-ფინანსურ ლიტერატურაში იმ დროისათვის გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვით, კ. მარქსს თითქოს არ აინტერესებდა ფინანსური საკითხები. ვ. ჩანტლაძე მიდის დასკვნამდე, რომ ფინანსური საკითხები კ. მარქსს გათვალისწინებული აქვს თავისი კვლევა-ძიების გეგმის მესამე ნაწილში, რაც აიხსნება მისი მეთოდოლოგიის თავისებურებით, რომლის მიხედვით, ყოველ კატეგორიას კვლევა-ძიების და გადმოცემის არსიდან გამოვლინებამდე ზედსვლის პროცესში თავისი ზუსტად განსაზღვრული ადგილი



უჭირავს. ავტორმა თავის შრომებში დაასაბუთა, რომ სწორი არ არის ფინანსური კატეგორიების იმგვარი გადმოცემა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფინანსურ ლიტერატურაში. კ. მარქსის მიხედვით, კატეგორიათა გადმოცემის თანმიმდევრობა განისაზღვრება აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე ზედასვლის გზით. ფინანსურ კატეგორიათა კვლევისა გადმოცემის დიალექტიკა გაშლილად და დასაბუთებულად მოგვცა მეორე ნაშრომში „ფინანსურ კატეგორიათა ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ სისტემაში“.

ვ. ჩანტლაძე ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ამტკიცებდა, რომ კ. მარქსის სისტემაში ფინანსური მეცნიერება პოლიტიკური ეკონომიის ნაწილია, რომ გადასახადი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უფრო კონკრეტული კატეგორია არის, ვიდრე მიწის რენტა, სასესხო კაპიტალი და სხვა, რომ კ. მარქსის ფინანსური მოძღვრება განუყრელი ნაწილია მისი ეკონომიკური მოძღვრებისა: ფინანსური კატეგორიები წარმოადგენენ ეკონომიკურ კატეგორიათა გაშლილ ფორმას. ბატონი ვასილის გამოკვლევებს როგორც სპეციალისტები, ისე მკითხველთა საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა, მაგრამ მათ შორის მაინც უნდა აღინიშნოს ფართოდ გახმაურებული კაპიტალური მონოგრაფია - „ფინანსების თეორის საკითხები“, რომელმაც ავტორს საჭვევნო აღიარება და სახელი მოუტანა. მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტებმა ეს შრომა შეაფასეს როგორც ეკონომიკური მეცნიერების ოქროს ფონდში შეტანილი დიდი წვლილი. იგი ითარგმნა უცხოურ ენებზე, მათ შორის ჩინურადაც და მილიონობით ტირაჟით გამოიცა საზღვარგარეთ, რამაც მის ავტორსა და მთელ ქართულ მეცნიერულ-ეკონომიკურ აზროვნებას ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აუმაღლა. შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევად ჩაითვალოს ბატონი ვასილის ასაკში (მაშინ 89 წლის იყო) გამოცემული შესანიშნავი მონოგრაფიული გამოკვლევა, „ფინანსური მეცნიერების საფუძვლები“. ამ ნაშრომში გამოკვეთილია ფინანსური ურთიერთობის მისადაგება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპული მოთხოვნებისადმი, სიახლის გრძნობა და ამ საკითხების ავტორისეული ნათელი და დამაჯერებელი გადმოცემის შეუდარებელი ოსტატობა.

ვასილ ჩანტლაძემ თავისი მეცნიერული კვლევები ბევრ პრობლემურ საიდუმლოებას ახადა ფარდა. სპეციალისტებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ფინანსებს მეცნიერების დიდი ჯგუფი ზედნაშენურ კატეგორიად

მიიჩნევდა, ზოგიც, შედარებით ვიწრო წრე მეცნიერებისა, მას ბაზისს მიაკუთვნებდა. დავა მათ შორის სათანადო მეცნიერული დასაბუთების სიღარიბით ათეული წლობით გრძელდებოდა. ბატონმა ვასილმა სათანადო წყაროების დრმა მეცნიერული ანალიზით ამ დავას ბოლო მოუღო და დამაჯერებლად ცხადყო, რომ ფინანსები იყო, არის და იქნება ისეთი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მიეკუთვნება ბაზისს და არა ზედნაშენს. ეს აზრი კი ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია.

ფინანსურ ლიტერატურაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ ფინანსები გაანაწილებს და გადაანაწილებს ეროვნულ შემოსავალს და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს. ეს დებულება ვ. ჩანტლაძის მტკიცებით არ არის ზუსტი, რამდენადაც ეროვნული შემოსავალი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილია და ამ ორ ცნებას შორის „და“, ზედმეტია. ეს ისევე ულოგიკოა, როგორც გამონათქვამი: „პეტრემ იცის ყველა ევროპული ენა, და ფრანგული ენა“. ცნებები „- ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი“ და „ეროვნული შემოსავალი“- მოცულობის მიხედვით არაურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, არამედ პირველი – დამქვემდებარებელი ცნებაა, მეორე – დაქვემდებარებული. პირველი ცნების მოცულობა შეიცავს მეორე ცნების მოცულობას. ამასთანავე, ეს მოცულობა უმართებულოა იმ მხრივაც, რომ ფინანსები ანაწილებს და გადაანაწილებს არა მარტო ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს, არამედ ეროვნულ სიმდიდრესაც. ვ. ჩანტლაძე ასაბუთებს, რომ ფინანსური სისტემით გამოხატული ურთიერთობანი ორგვარი სახით ვლინდება: როგორც შემოსავლის წყარო და როგორც დაფინანსების სუბიექტი და ობიექტი. ვაჭრობის საშუალებით ფინანსური ორგანოები რეალიზაციას უკეთებენ კონფისკაციას დაქვემდებარებულ უპატრონო ოჯახების ქონებას, აგრეთვე მფლობელის მიერ თავის დროზე მივიწყებულ ან უდოკუმენტო ტვირთებს ტრანსპორტირების პროცესში, მივიწყებულ საფოსტო სახსრებს ჩარიცხავენ ბიუჯეტში. ასევე ბიუჯეტში ირიცხება სახელმწიფოზე მემკვიდრეობით გაყიდვით თუ სხვა დოკუმენტების გაფორმების გადასახდელები. ამ ქონების გარკვეული ნაწილი ეკუთვნის ეროვნულ სიმდიდრეს. სახალხო მეურნეობის დაფინანსება (თავის უდიდეს ნაწილში) ნიშნავს სახსრების გადაანაწილებით ეროვნული სიმდიდრის ზრდას. მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოების და გაერთიანებებისთვის ბიუჯეტური სახსრების მიწოდება გამოყენებულ წარმოების საშუალებათა (შე-



ნობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა, ნედლეული, სათბობი და სხვა) გამოკლებით არის გაფართოებული კვლავარმოების დაფინანსება, ე.ი. სახსრების გადანაწილება ეროვნული სიმდიდრის გასადიდებლად. ასევე ფინანსები გაანაწილებს და გადაანაწილებს საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ ნაწილს, რომელიც იმყოფება მიმოქცევის სფეროში – ოქროს, ვერცხლის, საერთოდ, ძვირფასი ლითონების, უცხო ვალუტის და საერთოდ, ფულის სახით. ასევე სიმდიდრის იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენილია ფულადი სარეზერვო ფონდის და საამორტიზაციო ფონდის სახით. ეს უკანასკნელი ხომ საზოგადოებრივი სიმდიდრის ის ნაწილია, რომელიც ნელა, წლების განმავლობაში ცვდება და მამასადაძმე, სრულ გაცვეთამდე რჩება ეროვნული სიმდიდრის და არა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის სფეროში.

დიდია და ფასდაუდებელი ბატონი ვასილის მეცნიერული ღვაწლი ფულის, კრედიტისა და ფინანსების გენეზისის განსაზღვრაში. საქმე ის არის, რომ ეკონომისტთა ერთი ნაწილი უარყოფდა ფინანსების არსებობას კაპიტალიზმამდე არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში და მას კაპიტალიზმის და სოციალისტური წყობილების სიკეთედ მიიჩნევდა. ბატონმა ვასილმა ჩვეული მეთოდით საკითხის ყოველმხრივი განხილვითა და მკაცრი ლოგიკურობით, სათანადო მასალებზე დაყრდნობით დაასაბუთა ფინანსების არსებობა მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებშიც. მისი მეცნიერული დასკვნა იმის შესახებ, რომ ფული და კრედიტი წარმოშობილია პირველყოფილი საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურზე, ხოლო ფინანსები – მონათმფლობელურ საზოგადოებაში, კერძო საკუთრების კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ცნობილია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ფინანსები გაანაწილებს და გადაანაწილებს ეროვნულ შემოსავალს და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს. ბატონმა ვასილმა საფუძვლიანად გადაამუშავა და დააზუსტა ეს დებულება და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, დაამტკიცა, რომ ფინანსები ანაწილებს და გადაანაწილებს არა მარტო ეროვნულ შემოსავალსა და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს, არამედ ეროვნულ სიმდიდრესაც და ა.შ. ვ. ჩანტლაძეს ორიგინალური განმარტებები აქვს მოცემული ფინანსური მეცნიერების საგნის მეთოდის და ამოცანების შესახ-

ებ. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მონოგრაფიები - „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“ და „ფინანსური თეორიის საკითხები“, განსაკუთრებით უკანასკნელი, რომელშიც მოცემულია საბჭოთა კავშირში ფინანსური თეორიის განვითარების შეჯამებასთან ერთად მრავალი ახალი ორიგინალური დებულება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკური და კერძოდ, ფინანსური მეცნიერების აქტუალური საკითხების შემდგომ დამუშავებასა და გადაწყვეტას. ამ შრომებში ვ. ჩანტლაძემ მოგვცა ფულისა და ფინანსების ორიგინალური დასაბუთება და ახსნა, თუ რა შემთხვევაში იქცევა ფული ფინანსებად.

საქონლურ-ფულადი მეურნეობის პირობებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული სიმდიდრის გაფართოებული კვლავარმოება იწვევს საზოგადოებრივი ფონდების ფორმირებას ფულის სახით. ფული გამოცალკევდება საქონლის მიმოქცევისგან და იწყებს შედარებით დამოუკიდებელ მოძრაობას. ამ საფუძველზე იქმნება ფულადი მიმოქცევა და ფულადი ფონდები, როგორებიც არის ბიუჯეტური ფონდები, საკრედიტო ფონდები, გამოცალკევებულ საწარმოთა, გაერთიანებათა ფულადი ფონდები და მოსახლეობის ფულადი ფონდები. ისინი, ფუნქციონირების ხასიათიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად დებულობენ ფინანსურ ფორმას. ფულადი ფონდი, რამდენადაც ემყარება ფულის ფუნქციონირებას, არ არის ფინანსური ფონდი. ასეთ შემთხვევაში ფული არის მხოლოდ ფული და არა ფინანსები, მაგრამ, როდესაც ფული რამდენიმე ან ყველა მისი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებისას ახალ თვისებებს იძენს, ისე, რომ გამოიყენება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული სიმდიდრის განაწილება – გადაანაწილების, მეურნეობრივი ანგარიშიანობის გარეშის და კონტროლის საშუალებად, მაშინ ფინანსებად იქცევა. ამგვარად, ფორმირებული და გამოყენებული ფულადი ფონდი არის ფინანსური ფონდი. ფულადი ფონდი ფინანსურ ხასიათს დებულობს იმისგან დამოუკიდებლად, ის ფულის ერთ რომელიმე ფუნქციას ასრულებს თუ სამივეს ერთად.

ვ. ჩანტლაძეს მოცემული აქვს ფულადი ფონდების, საკრედიტო ფონდების და ბიუჯეტური ფონდების წრებრუნვაში და წრებრუნვის გარეშე მოძრაობის, აგრეთვე ფინანსების მეურნეობრივი ანგარიშიანობის ფუნქციის ორიგინალური დასაბუთება.

ვასილ ჩანტლაძემ ორიგინალური კვლევა მოგვცა XI-XII საუკუნეების საქართველოს



ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ნაშრომში – „ისტორიანი და ახმანი შარავანდედთაის“ ერთი ადგილის გაგებისთვის. ტექსტის ის ადგილი, რომელშიც ნათქვამია: „თქმულ არს ესეცა, დაღათუ მაუწყებელ არს სიტყვა, ვითარმედ თვისითა ხელითა ამასცა შერებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მის დააფასოს და რაოდენი დღივ შესჭამის, ხელსაქმარსა მისსა განყიდის და ეგოდენსა ფასსა გლახაკთა ახელსაქმინის და მისცის არა სამეფოს შემოსავლითგან“. ისტორიკოსები ამას აძლევენ შემდეგ ახსნას: თამარ მეფე ყოველდღიურ თავის „საჭამადს“ აფასებდა და მის ღირებულებას ურიგებდა ღატაკებს არა სამეფო შემოსავლიდან, არამედ თავისი ხელსაქმობით დამზადებული ნივთების გაყიდვის ამონაგებიდან. ეს ახსნა ვახილ ჩანტლაძეს არ მიაჩნდა სწორად და მოგვცა შემდეგი ორიგინალური დასაბუთებული ახსნა: თამარი როგორც თავისი ხელით აკეთებდა საქმეებს, ასევე გლახაკებსაც ასაქმებდა, ე.ი. ხელსაქმეს აკეთებინებდა. დასაქმებულ მუშებს აძლევდა ულუფას, დღიურ საზრდოს. მათ დღიურ „საჭამადს“ აფასებდა წარმოების დანახარჯების გაანგარიშებისთვის. ამა თუ იმ ოდენობის პროდუქტების დამზადების პერიოდში რამდენი დღისასაც შეჭამდნენ, მხედველობაში ღებულობდნენ მათი ხელსაქმის გაყიდვიდან ამოღებული წმინდა შემოსავლს გამოსაანგარიშებლად. ამგვარად, დასაქმებული გლახაკები დახმარებას ღებულობდნენ არა სამეფო შემოსავლიდან, ე.ი. არა ბიუჯეტური წყაროდან, არამედ ამ წარმოებაში მათ მიერვე შექმნილი ღირებულებებიდან.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბატონი ვასილის ყველა შრომა, სტატია თუ ზეპირი გამოსვლა სიახლით სუნთქავს. შეუძლებელია საქმეში ჩახედულმა კაცმა მათში არ დაინახოს, არ იგრძნოს ავტორის დიდი რუდუნება და საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომის გასაოცარი უნარი. ეს კი რჩეულთა ხვედრია და ბატონი ვასილიც მათ შორის ამაღლებულ, საპატიო ადგილს ისაკუთრებს. ბატონმა ვასილმა დიდი ცოდნა და ენერჯია მოახმარა ფინანსების და კრედიტის სპეციალობის სტუდენტებისთვის ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას, რომლებიც ნათარგმნ და ქართულ ენაზე დაწერილ სხვა სახელმძღვანელოებზე გაცილებით გამძლე და სტაბილური აღმოჩნდა. ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდნენ სპეციალისტთა მთელი თაობები. ასეთი ტრიუმფი კი განაპირობა არა მარტო დიდმა მეცნიერულმა ცოდნამ და არაჩვეულებრივმა მეთოდოლოგიურმა ოსტატობამ, არამედ ნამდვილად

შესაშურმა პედაგოგიურმა ნიჭმა და ალღომ, ჭეშმარიტი მასწავლებლისთვის დამახასიათებელმა უნარ-ჩვევებმა.

ბატონმა ვასილმა, დიდმა პატრიოტმა, ქართველი ხალხის სხვა ღირსეულ მამულიშვილთა მსგავსად, კვლევითი მუშაობის ძირითად საგნად გაიხადა ეროვნული აზროვნების უმდიდრეს და მრავალფეროვან წიაღში – ეკონომიკური სიბრძნის ელვარე მარგალიტების მოძებნა-გამომხეურება და საერთაშორისო მეცნიერულ ასპარეზზე წარმოდგენა, როგორც ბრწყინვალე მაგალითი ქართველი ხალხის ეკონომიკური აზრის სიღრმის, მრავალსაუკუნოვანი ასაკის, გამძლეობის და სიცოცხლისუნარიანობის. ამ დიდ საქმეს უძღვნა მრავალი შრომა, სტატია და სხვადასხვა შეკრებასა და სიმპოზიუმზე საყურადღებო გამოსვლები. ჯერ კიდევ სადოქტორო დისერტაციაში, „ფინანსები რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1954 წელს, ბატონმა ვასილმა ჩვეული სიცხადითა და საოცარი ლოგიკური მსჯელობით გვიჩვენა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფინანსების, როგორც ქართული ეკონომიკურიაზროვნების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მეცნიერული ცოდნის დონე საკმაოდ მაღალი იყო და მრავალმხრივ ორიგინალური, აზრთა სიღრმით – საინტერესო და პრაქტიკული თვალსაზრისით – პროგრესული. ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა 1975 წელს და წარმოადგენს კაპიტალურ გამოკვლევას, რომელშიც მოცემულია ფინანსების განვითარების კანონზომიერება რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომში, მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით, ფართო ისტორიოგრაფიული და მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზისის მეცნიერული გამოყენებით გამოკვლეულია რიგი ეკონომიკური და ეკონომიკურ-ისტორიული მეცნიერების მიერ შეუსწავლელი საკითხების.

ამ დარგის პრობლემათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომა „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“. იგი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ წარმოადგენს პირველ ცდას სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბების დასაბუთების და მეცხრამეტე საუკუნემდე ქართული ეკონომიკური აზრის შესწავლის. ნაშრომი იწყება ეპოქის ისტორიული მიმოხილვით და საბას სოციალურ შეხედულებათა დახასიათებით. ამის შემდეგ განხილულია მწერლის შეხედულებანი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის, სიმდიდრის



წყაროს, ფასის, ფულის, როგორც კაპიტალის, ზედმეტი პროდუქტის პრობლემების, ხელფასის, კრედიტის ფინანსების შესახებ და მთავრდება საბას თავგამოდებით ბრძოლის დახასიათებით საქართველოს ეროვნული მთლიანობისა და მეურნეობრივ-პოლიტიკური აღორძინებისთვის. საბას ეკონომიკური შეხედულებანი შესწავლილია არა მარტო თავისთავად, არამედ შედარებითი ხერხის გამოყენებით, იგი განხილულია მსოფლიო ეკონომიკური აზრის განვითარების ასპექტში. ამ შრომაში დასაბუთებულია სულხან-საბა ორბელიანისიმ დროისთვის პროგრესული დებულება, რომლითაც იგი 70 წლით წინ უსწრებს ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავარს – ფრანსუა კენეს. ეს საკითხი წარედგინა ეკონომისტ-ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესს ლენინგრადში 1970 წლის აგვისტოში. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა და გავრცელდა რუსულ და ინგლისურ ენებზე. ვ. ჩანტლაძის დამსახურებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ მან არა მარტო გამოიკვლია ეს საკითხი, არამედ დანერგა კიდევ. ეს აღმოჩენა საერთაშორისო კონგრესზე გაიტანა და მისი კვლევის საფუძველზე პოლიტიკური ეკონომიის ენციკლოპედიის რედაქციამ ენციკლოპედიაში შეიტანა სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ფიზიოკრატიული სკოლის წინამორბედი თავისი ეკონომიკური შეხედულებებით.

ეროვნული ეკონომიკური აზროვნების სიდიადის და უკვდავების დიდი ჰიმნია ბატონი ვასილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნამდვილი „მარგალიტი“ – შოთა რუსთაველის ეკონომიკური იდეები. ამ წიგნის შესახებ კვლავაც ბევრი დაიწერება, მის შეფასებას დიდი დრო, ცოდნა და ენერჯია სჭირდება, მაგრამ ძალიან მოკლედ და ზოგადად აქაც რამდენიმე სიტყვით მიინდა შევეხო. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ზუსტად ამ შრომაზეა ნათქვამი. გენიალური პოეტის მხატვრულ ქარაგმაში მოქცეული ეკონომიკური შეხედულებები ბატონმა ვასილმა გამოიცნო დიდი სიზუსტით და სისრულით. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ მარტივად და გასაგებად წაიკითხა ეკონომიკის ენაზე და ასე მარტივად, მიმზიდველად და საინტერესოდ მიაწოდა იგი მკითხველს.

მაგრამ მთავარია, რა მიაწოდა? პირველი ის, რომ XII საუკუნეში ჩვენს ერს ჰყავდა უზარმაზარი პოეტი, რომელმაც უკვდავ ქმნილება „ვეფხისტყაოსანში“ გასაოცარი სიღრმით ჩააქსოვა „ეკონომიკური პოეზია“, ეპოქის ეკონომიკური სუნთქვის მამოძრავებელი ძალები და კანონზომიერებები; მეორე ის, რომ ეს ძალები და

კანონზომიერებები, ეროვნული ელფერის მიუხედავად, ნამდვილად იდგა განათლებული მსოფლიოს ეკონომიკური სტანდარტების დონეზე;მესამე ის, რომ შოთა რუსთაველის „ეკონომიკური პოეზია“ არ იყო მარტო XII საუკუნის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი. იგი სრულყოფილად ასახავდა მომავალი საუკუნეების პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების სანუკვარ მიზნებსა და ინტერესებს და ამ მხრივ იგი უკვდავია; მეოთხე ის, რომ სახელმწიფოს სიძლიერე, საზოგადოების სისხლსავსე ცხოვრება, ადამიანის ბედნიერება წარმოუდგენელია მტკიცე ეკონომიკური ბაზისის გარეშე პატიოსანი შრომის, ბარაქის და დოვლათის სიუხვის გარეშე; მეხუთე ის, რომ ასეთი პირობების შექმნისთვის აუცილებელია ეპოქის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანი იქნება: ხალხის, მთელი საზოგადოების კეთილდღეობა, პროგრესის უანგაროსამსახური, ბოროტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, სინდისის და პატიოსნების წინა პლანზე წამოწევა, მოწყალების და ქველმოქმედების ფართოდ გაშლა და ა.შ.

ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება და ღირებულება ისაა, რომ მისი ავტორი, კონკრეტული ეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე, მკაცრი ლოგიკურობით ნათელს ჰყვენს „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ რიგ სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და სხვა საკითხებს, ამის გამო იგი შეფასებული უნდა იქნას როგორც ნათელი მაგალითი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი მხატვრული სახეები ასხივოსნებენ აზრებს ბრძნული აზრებით, თავის მხრივ, ელვარებას მატებენ „მხატვრულ სახეებს“. ეს ჰპარმონია კი უკვდავეოფს მის შემოქმედს. დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ვასილი, სხვა რომ არაფერი შეექმნა, მარტო ამ გამოკვლევითაც დაიკავებდა ამაღლებულ, საპატიო ადგილს ეროვნული ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში.

დიდი ამაგი დასდო ბატონმა ვასილმა ქართველი ხალხის უკვდავი შვილის, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური იდეების შესწავლა-გამომზეურებას, პროგრესული განვითარებადი მხარეების ჩვენებას, ამ იდეების ორიგინალური ხასიათის, მაღალი დონის და სიცოცხლისუნარიანობის საყოველთაო აღიარებას. მოკრძალებული პატივისცემით და სიყვარულით არის გამსჭვალული ბატონი ვასილის შრომები, რომლებიც ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებების შესწავლას. ამ შრომებში დამტკიცებულია, რომ



ივანე ჯავახიშვილი არის პირველი მეკლევარი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური აზროვნების ისტორია მტკიცე მეცნიერულ სისტემაში მოაქცია და ამით დასაბამი მისცა მის თანმიმდევრულ და სისტემურ კვლევა-ძიებას. აქ ერთხელ კიდევ გამოვლინდა ბატონი ვასილის მაღალი პატრიოტული სულისკვეთება და ჭეშმარიტი მეცნიერის სინდის-ნამუსზე დამყარებული პირადი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ვ. ჩანტლაძე შეეცადა გადმოეცა ფინანსური აზრის განვითარების ისტორია მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში, დაწყებული ქსენოფონტედან და არისტოტელედან, დამთავრებული თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტებით. ცალკე მონოგრაფიის სახით შესწავლილია ჰენრი ჯორჯისა და მისი თანამოაზრეთა ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებანი.

ღვაწდომოსილი მეცნიერის მთელი ფიქრი და ოცნება, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, მიმართული იყო ნაყოფიერი ძიების და მეცნიერული მოღვაწეობისკენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო ყველა ჩანაფიქრის ბოლომდე დასრულება. სამაგიეროდ, დაგვიტოვა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისთვის. პროფ. ვ. ჩანტლაძის ნაყოფიერი მუშაობა აღსანიშნავია აგრეთვე იმ მხრივ, რომ მან ჩვენს ახალგაზრდობას მისცა მშობლიურ ენაზე დაწერილი მაღალკვალიფიციური ორიგინალური და დამხმარე სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელო „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები“ წარმოადგენდა პირველ ორიგინალურ სახელმძღვანელოს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის მშობლიურ ენაზე. მასში გადმოცემულია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების ძირითადი კატეგორიების არსი, გარკვეულია ფინანსური კატეგორიების ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემაში საერთოდ და ფინანსურ კატეგორიათა გადმოცემის თანმიმდევრობა თვით ფინანსურ კატეგორიათა სისტემაში, – კერძოდ. ამასთანავე, კრიტიკულად განხილულია რუსულ – მეფისდროინდელ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე არსებულ სახელმძღვანელოებში მოცემული შეხედულებები ფინანსური მეცნიერების ცნების და მეთოდის შესახებ. ამ ნაშრომში მოცემულია ბევრი ორიგინალური აზრი და დასაბუთება. ასეთსავე სახელმძღვანელოთა რიგს მიეკუთვნება „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, „ფინანსე-

ბი და კრედიტი“, „ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია“ და სხვ.

პროფ. ვ. ჩანტლაძემ საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების სახით. მიიღო მონაწილეობა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკის ტერმინოლოგიის შედგენაში, შეადგინა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ფინანსურ-საკრედიტო ტერმინოლოგია და აგრეთვე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სტატისტიკური ტერმინოლოგია. ამასთანავე, დაწერა განმარტებანი რიგი ტერმინებისა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის I-XII ტომებისათვის; გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია ქართულ ენაზე ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის გაგების საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ჩანტლაძე უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა „სტატისტიკის ზოგად თეორიაში“, „ფინანსურ სტატისტიკაში“, „სტატისტიკის ისტორიაში“, „ფინანსებში“, „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსებში“ და „ფულის, კრედიტის და ფინანსების ისტორიაში“. 70 წელიწადი ვასილ ჩანტლაძე ლექციებს კითხულობდა განუწყვეტელი სტაჟით, დიდი ცოდნითა და ენთუზიაზმით. მან აღუზარდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული მრავალი მუშაკი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს და ქვეყნის სახალხო მეურნეობის და კულტურის სხვადასხვა დარგს. მრავალი მისი აღზრდილი მუშაობს უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორისა და დოცენტის თანამდებობებზე, სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელ პოსტებსა და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. გარდა უნივერსიტეტისა, ლექციებს კითხულობდა აგრეთვე ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, ამიერკავკასიის დაუსწრებელ ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის უმაღლეს საფინანსო სკოლაში, საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმსა და სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის ტექნიკუმში. შეთავსებით მუშაობდა აგრეთვე ამიერკავკასიის ფინსახკომში ეკონომისტად, დაუსწრებელ საფინანსო ინსტიტუტში მეთოდისტად და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

ვ. ჩანტლაძის მოღვაწეობაში დიდი ადგილი უჭირავს მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების ატესტაციას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დისერტაციები მოამზადა და დაიცვა 40-ზე მეტმა პირმა, მათ რიცხვში აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, პოლონეთიდან და ვიეტნამიდან-



აც. კათედრამ ვასილ ჩანტლაძის ხელმძღვანელობით მეცნიერული კავშირი დაამყარა რუსეთის, პოლონეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ფინანსებისა და კრედიტის კათედრებთან, პროფ. ვასილ ჩანტლაძემ 21 წელიწადი ნაყოფიერად უხელმძღვანელა ფინანსებისა და კრედიტის კათედრას და ამ ხნის განმავლობაში კათედრამ მოამზადა 30-მდე წიგნი, მონაწილეობა მიიღო მრავალ საერთაშორისო, საზღვარგარეთულ, საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკების და რესპუბლიკის რაიონების სამეცნიერო კონფერენციებში. ვასილ ჩანტლაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სხვ.

1995 წლის იანვარში ქართველმა ხალხმა ვასილ ჩანტლაძეს დაბადების 90 წლის იუბილე გადაუხადა და 2005 წელს დაბადების 100 წლის იუბილე.იქნებ სიმბოლურიც იყო საიუბილეო წელში მისი დიდი სიცოცხლის დასრულება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მის მეხსიერებას ბზარი არ შეჰპარვია, ჩვეული შეუპოვრობითა და შრომისმოყვარეობით კითხულობდა

ლექციებს და ბრწინვალე მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობას. არავისთვის საკამათო არ გამხდარა, რომ ვასილ ჩანტლაძე უზარმაზარ, განსაცვიფრებელ ცოდნას ფლობდა, არასოდეს გამორჩებოდა არა მარტო მსოფლიო ფინანსისტ-ეკონომისტთა, არამედ სხვა დარგის მეცნიერთა უკანასკნელი ნაშრომები და მიღწევები. ჩამოთვლაც კი ძნელია ყველა დარგისა, იმდენად ფართო და ყოვლისმომცველი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო, თვალსაწიერი.

ლამარა ქოძიაური
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.
qoqiauri@yahoo.com

ნოდარ ჭითანავა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე.
გედევან ხელაია
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

ვახტანგ დათაშვილი
ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“
მთავარი რედაქტორი, სტუ-ს პროფესორი
social_economica@mail.ru